

შპს სპან ფიზინგ ინდასტრი

ს/ნ 204564373

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

1. სარჩევი

1. ძირითადი საქმიანობა	8
1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
2. ფული და ფულის ექვივალენტები	12
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
4. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
6. საგადასახადო ვალდებულებები	15
7. სესხები	15
8. შემოსავალი	16
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
11. სხვა შემოსულობა/ზარალი	17
12. იჯარა	17
13. კაპიტალი	17
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
15. ფინანსური რისკის ფაქტორები	17
საბაზრო რისკი	17
საკრედიტო რისკები	17
ლიკვიდურობის რისკი	18
16. გაუთვალისწინებელი გარემოებები	18
ბიზნეს გარემო	18
გადასახადები	18
ეკოლოგიური საკითხები	18
17. დაკავშირებული მხარეები	19
18. საკონტროლო ურთიერთობები	19

შპს სპან ფიზინგ ინდასტრი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები:			
ნაღდი ფული სალაროში	23 614	73 621	15 614
ფული საბანკო ანგარიშებზე	59 749	62 845	81 170
კაპიტ.შეფ.პარტნ.გრძელვ.მოთხ.მიმდ.ნაწილი	1618 084	1618 084	774 373
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	700	-	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	82 405	484 787	93 837
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4 593	26 211	25 325
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	23 762	-	2 588
საბიუჯეტო გადასახადი	2 276	-	-
სულ მიმდინარე აქტივები	1815 183	2265 548	992 908
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
ნედლეული და მასალები	37 727	172 950	80 797
საწვავი	21 185	9 821	18 094
ცოცხალი თევზი	5258 488	4015 412	3189 329
მზა პროდუქცია	15 605	-	-
სათადარიგო ნაწილები	76	76	-
სარემონტო მასალები	55 723	1 179	-
ცოცხალი საქონელი	33 600	-	-
წინასწარ გაწეული ხარჯები	2 740	2 740	2 740
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	5425 144	4202 178	3290 960
გრძელვადიანი აქტივები			
მიწის ნაკვეთები	454 232	454 232	454 232
დაუმთავრებელი მშენებლობა	25 153	25 153	25 091
შენობები	777 042	819 001	860 960
სათვალთვალო სისტემის მოწყობილობა	6 891	11 555	16 329
ნაგებობები	416 503	450 546	484 589
ტბორები	58 040	61 668	65 295
ბასეინები	25 211	28 813	32 414
მილსადენები და რეზერვუარები	163 169	169 244	175 319
მანქანა-დანადგარები	33 018	25 166	37 489
კომპიუტერული მოწყობილობები	4 772	2 447	3 855
ოფისის აღჭურვილობა	640	184	46
ელექტრონული მოწყობილობები	9 524	7 039	11 459
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11 069	17 527	27 914
იარაღები	-	-	133
სხვადასხვა ინვენტარი	677	381	558

თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები.
ელექტროძრავები და დიზელგენერატორები
სატრანსპორტო საშუალებები
სხვადასხვა
შინაური ცხოველები
გრძელვადიანი ინვესტიციები
არამატერიალური აქტივები
სულ გრძელვადიანი აქტივები

1 527	1 868	2 813
82 794	69 679	84 835
6 232	6 416	9 931
5 712	5 712	5 712
-	-	-
473	710	946
2082 680	2157 341	2299 922

მთლიანი აქტივები

9323 008

8625 067

6583 790

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები:

მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი
ვალდებულებები
მიღებული ავანსები
მომწოდებლები უცხოეთიდან
გადასახდელი ხელფასები
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
სესხები პარტნიორებისგან
საგადასახადო ვალდებულებები
გადასახდელი პროცენტები

710 500	4 255	6 643
3 462	3 596	889
-	2 000	-
-	-	1 306
371 907	9 471	89 229
9 546	-	-
1 484	-	-
4428 548	2859 304	2802 048
42 385	142 767	97 159
619 155	66 927	390 822
6186 986	3117 482	3405 352

მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები

კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალი
დაუფარავი ზარალი

14912 464	14912 464	9921 064
(11776 443)	(9375 715)	(6725 370)
-	-	-
3136 021	5536 749	3195 694

მთლიანი კაპიტალი

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი

9323 008

8625 067


6583 790

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვ. შალაბანოვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი



შპს სპან ფიშინგ ინდასტრი

კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2019	2018
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	1 668 198	787 907
რეალიზებული პროდუქციის	(1 191 956)	(599 247)
თვითღირებულება		
საერთო მოგება	476 242	188 660
საოპერაციო ხარჯები	(1 893 447)	(2 172 658)
საწარმოო ხარჯები	(170 530)	(271 642)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 722 917)	(1 901 016)
მიწოდების ხარჯები		
საოპერაციო მოგება	(1 417 205)	(1 983 998)
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	(983 523)	(666 347)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2 989	27 745
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		(21 751)
საპროცენტო ხარჯები	(747 185)	(560 250)
საკუროსო სხვაობა	(223 603)	(90 531)
კონვერსიის სხვაობა	(3 695)	(8 662)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(11 663)	(12 898)
გადახდილი მოგების გადასახადი	(367)	
წმინდა მოგება (ზარალი)	(2 400 728)	(2 650 345)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვ. შალაბანოვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი



შპს სპან ფიშინგ ინდასტრი

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	9921 064		(6725 370)	3195 694
წმინდა მოგება	-	-	(2650 345)	(2650 345)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	4991 400	-	-	4991 400
2018 წლის 31 დეკემბერი	14912 464	-	(9375 715)	5536 749
წმინდა მოგება	-	-	(2400 728)	(2400 728)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	14912 464	-	(11776 443)	3136 021

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვ. შალაბანოვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი



შპს სპან ფიშინგ ინდასტრი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2019	2018
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	136 466	96 784
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1 354 756)	(4 048 372)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(43 388)	4 147 689
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1 341 830	(72 586)
სავალუტო კურსის ეფექტი	3 212	12 951
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	83 364	136 466

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ვ.შალაბანოვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი



შპს სპან ფიზინგ ინდასტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „სპან ფიზინგ ინდასტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის - შპს „თევზსაშენის“ ფინანსურ ინფორმაციას. შპს სპან ფიზინგ ინდასტრი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2009 წლის 30 იანვარს და არის 100%იანი წილის მფლობელი შპს „თევზსაშენის“, რომელიც შეიძინა 2014წელს.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით - შპს „სპან ფიზინგ ინდასტრი“

შპს JANCO.SA
სერგეი პანჩენკო

2019 წელი
95%
5%

2018 წელი
95%
5 %

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა თევზის მოშენება და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 ზოგადი ინფორმაცია

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2017, 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2018 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 მსს ფასს-ის გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2019 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2018 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც წარმოადგენს „კომპანიის“ საწარმოების სამუშაო ვალუტას, რადგან იგი ყველაზე კარგად ასახავს ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილ ლარებში დამრგვალებულია ერთეულის სიზუსტით, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

2.4 შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლების კონტროლდება „კომპანიის“ მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც „კომპანიას“ აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

„კომპანიის“ მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას:

სახელწოდება	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს თევზსაშენი	100	საქართველო	15/06/2007	თევზის ჭერა/რეალიზაცია	20/03/2014

2.5 ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

კომპანიის ზარალმა 2019 წელს შეადგინა 2126946.15 ლარი. 2019 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები. მიუხედავად იმისა, რომ

კომპანიის ვალდებულებები მნიშვნელოვნად აღემატება აქტივების რაოდენობას ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და შეუძლია საქმიანობის გაგრძელება.

2.6 ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

2.7 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

2.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგირი საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	1-15 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

2.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შემენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

2.10 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

2.11 ბიოლოგიური აქტივი

ბიოლოგიური აქტივი არის მცენარე ან ცხოველი. მსგავსი მცენარეების ან ცხოველების ერთობლიობა, რაც ქმნის ბიოლოგიური აქტივების ჯგუფს; სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქტი, მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის; ბიოლოგიური ტრანსფორმაცია არის ბიოლოგიური აქტივის ზრდის, დეგენერაციის (დაკნინების), წარმოების და კვლავწარმოების (გამრავლება-რეპროდუქციის) პროცესების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ამ აქტივის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებას.

კომპანიის ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენს ცოცხალი თევზი. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა სახეობის თევზი : ციმბირული ზუთხი, სქელშუბლა, კობრი, ამური და კალმახი. ციმბირულ ზუთხი არის იმპორტირებული პროდუქტი და იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით, ხოლო დანარჩენი სახეობის თევზები განთავისუფლებულია დღგ-ის ჩათვლის უფლებით.

შპს „სპან ფიშინგ ინდასტრის“ შვილობილ კომპანიას გარდა თევზებისა ბიოლოგიური აქტივის სახით საწარმოს ბალანსზე ერიცხება ცოცხალი ცხოველი -კამეჩი.

2.12 ცოცხალი თევზის გამოზრდა

ბიოლოგიური აქტივის ბუღალტრული ასახვის დროს მნიშვნელოვანია ცოცხალი თევზის წონისა და თვითღირებულების განსაზღვრა. წონაზე და თვითღირებულებაზე მოქმედებს გახარჯული საკვების რაოდენობა. აღსანიშნავია რომ თევზების წონის მატება ატარებს სეზონურ ხასიათს და წელიწადის ზოგიერთ დროს გახარჯული საკვები არ მოქმედებს წონის მატებაზე. ამ შემთხვევაში მიღებული საკვები ზრდის მხოლოდ თევზის თვითღირებულებას.

2.13 სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დრემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

2.14 სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია დიდი რაოდენობით დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019წ	31 დეკემბერი 2018წ
ნაღდი ფული სალაროში	23 614	73 621
ფული საბანკო ანგარიშებზე	59 749	62 845
სულ	83 364	136 466

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს

არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019წ	31 დეკემბერი 2018წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	82 405	484 787
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4 593	26 211
სულ	86 997	510 997

სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად შემცირებულია 2019 წელს. ეს განაპირობა დებიტორული დავალიანების დაფარვამ.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019წ	31 დეკემბერი 2018წ
სასაქონლო მატერიალური მარაგი		
ნედლეული და მასალები	37 727	172 950
საწვავი	21 185	9 821
მზა პროდუქცია	15 605	-
სათადარიგო ნაწილები	76	76
სარემონტო მასალები	55 723	1 179
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	130 317	184 027
ბიოლოგიური აქტივი		
ცოცხალი თევზი	5258 488	4015 412
ცოცხალი საქონელი	33 600	-
სულ ბიოლოგიური აქტივები	5292 088	4015 412

მარაგების რაოდენობა 2019 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს გამოწვეული იყო იქიდან, რომ ამ წელს ჩამოიწერა 2018 წელს იმპორტით შემოტანილი თევზის საკვები. ბიოლოგიური აქტივი კი გაიზარდა 2019 წელს. თევზის საკვების გახარჯვამ განაპირობა თევზის წონის მატება. 2019 წელს

ჩატარდა თევზის ინვენტარიზაცია, რის საფუძველზეც მოხდა თევზის რაოდენობის კორექტირება.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019წ	31 დეკემბერი 2018წ
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	710 500	4 255
მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი ვალდებულებები	3 462	3 596
მიღებული ავანსები	-	2 000
გადასახდელი ხელფასები	371 907	9 471
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	9 546	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 484	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	382 937	11 471

2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. 2019 წელს სავაჭრო ვალდებულებების გაზრდა განაპირობა შეძენილმა მარაგებმა, რომელიც გამოყენებულ იქნა კომპანიის საწარმოო საქმიანობაში, კერძოდ, კომპანიამ შეიძინა დიდი რაოდენობით თევზის საკვები. ასევე ბიოლოგიური აქტივი და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელფასო ვალდებულებებიც. სხვა მიმდინარე საწარმოო ხარჯების ზრდის გამო კომპანიამ ვერ შეძლო დაეფარა სახელფასო ვალდებულებები. გაიზარდა ხარჯების ანარიცხებიც.

7. საგადასახადო ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2019წ</u>	<u>31 დეკემბერი 2018წ</u>
საგადასახადო ვალდებულებები	42 385	142 767
სულ	42 385	142 767

2019 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა საგადასახადო ვალდებულებები.

8. სესხები

მიმდინარე საწარმოო ხარჯების ზრდის გამო, 2019 წელს საწარმო იძულებული გახდა გაეზარდა სასესხო ვალდებულებები. შესაბამისად გაიზარდა დარიცხული პროცენტი.

	<u>31 დეკემბერი 2019წ</u>	<u>31 დეკემბერი 2018წ</u>
სესხები პარტნიორებისგან	4428 548	2859 304
გადასახდელი პროცენტები	619 155	66 927
სულ	5047 703	2926 230

9. შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზრებული საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- სამოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხრჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

კომპანიის შემოსავლის უდიდესი ნაწილი შედგება ცოცხალი თევზის გაყიდვიდან მიღებული თანხებიდან. 2019 წელს კომპანიას გააჩნია შემოსავლები თევზის საკვების გაყიდვიდან და ფართის იჯარიდან.

2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავალი ცოცხალი თევზის გაყიდვიდან.

	2019წ	2018წ
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1 516 261	692 719
შემოსავალი სერვისების მიწოდებიდან	137 846	85 018
შემოსავალი ფართის იჯარიდან	14 091	10 170
შემოსავალი	1 668 198	787 907

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, თანამშრომელთა ხელფასებს, ტექნიკის იჯარას.

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდესი ნაწილი უკავშირდება გაცემულ შრომით

ანაზღაურებას.

12. სხვა შემოსულობა/ზარალი

2018 და 2019 საანგარიშგებო წლებში კომპანია იყო ზარალიანი.

13. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული მიწა და ფართი ოფისისათვის, აგრეთვე რიგი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება დაგროვილი ზარალისა და საწესდებო კაპიტალისგან.

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას

16. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებული სავალუტო რისკებთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან.

ჯგუფს ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე აქვს საკუროს სხვაობების რისკი. სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი ნიშნავს, იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვლისწინებულ ნაკისრ ვალდებულებას, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს

რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები, ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას. აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება

17. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს გარემოს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თვისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება შეეხოს საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჯგუფზეც, მაგალითად რეალიზაციაზე, ფონდების მოძიებაზე და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. უფრო რთულ საბაზრო კრიზის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა და ჯგუფის მდგომარეობა, შეიძლება გაუარესდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავლადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ ზემოთხსენებული ფაქტორების შემტვევაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებასთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლობის მიერ, რომელიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად.

ეკოლოგიური საკითხები

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესში იმყოფება და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია გადაიხედება. „კომპანია“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ კლიმატში,

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

18. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

19. საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მფლობელია შპს „სპან ფისინგ ინდასტრი“, რომელიც ფლობს 100%-იან წილს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი: ვიქტორია შალაზანოვა

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2020 წელი

